სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მზია შავლოხაშვილი

ინკლუზიური განათლების დანერგვის საჭიროება, განვითარება და მონიტორინგის წესები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფო ჩქოფოია

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გორი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი **„ინკლუზიური განათლების დანერგვის, საჭიროების და მონიტორინგის წესები საქართველოში"**, ეხება ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური განათლების განვითარების მექანიზმებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში და ინკლუზიისა და სოციალური განვითარების პესპექტივებს. აქტუალურია ეს საკითხი იქიდან გამომდინარე, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პრობლემებს ვაწყდებით. **კვლევის მიზანი** გახლავთ, შეგვესწავლა ინკლუზიური განათლების პროცესის დანერგვა და მისი საჭიროება შშმ პირებისა და სსსმ პირების მიმართ. ინკლუზიური განათლების დანერგვა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციისათვის. არსებული მდგომარეობის შესწავლა, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს აღნიშნული საკითხების განხილვა და რა მდგომარეობაა პრობლემების გამოსწორების მხრივ ინკლუზიური განათლების მონიტორინგის საფუძველზე და მისი აღმოფხვრისთვის შემუშავებული მექანიზმებიდან გამომდინარე. ასევე საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხისა და ინკლუზიური განათლებისადმი მათი დამოკიდებულების შესწავლა. საკითხზე მუშაობის პროცესში გამოიყო რამდენიმე ქვემიზანი:

1 ინკლუზიური განათლების პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დამოკიდებულებების დადგენა.

2 ინკლუზიური განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ეფექტური საშუალებების დადგენა.

ჩვენს მიერ არჩეული საკვლევი თემა **აქტუალურია** და ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** იმის ჩვენება, რომ აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან დღესაც, საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განაგრძობენ ბრძოლას, რათა მათ შეძლონ და თავი ისეთებად დაიმკვიდრონ ჩვენს საზოგადოებაში,

როგორებიც სინამდვილეში არიან და მათ უფლებებს კანონმდებლობა და საზოგადოებრივი აზრი იცავდეს. **კვლევის საგანია,** ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე შემუშავებული გეგმები და მეთოდები, რომლებიც ხორციელდება განათლების სამინისტროს მიერ. **კვლევის ობიექტია** საქართველოში მყოფი შშმ პირების სტატისტიკა, განათლების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ იმას, რომ მიუხედავად არაერთი რეფორმისა, ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური განათლება დგას არაერთი გამოწვევების წინაშე. განსაკუთრებით პრობლემატურია შშმ პირების მიმართ ურთიერთობა საზოგადოების მხრიდან. **კვლევის სიახლე** გახლავთ ის, რომ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული საკითხი ისევ და ისევ აქტუალურ პრობლემად რჩება, რთულია შშმ პირებისათვის ტრანსპორტით სარგებლობა, ქუჩებში გადაადგილება და დასაქმება, აზრთა სხვადასხვაობის გამო კიდევ შეიძლება ახალ პრობლემებმა იჩინოს თავი.

კვლევის პროცესში **გამოვიყენეთ მეთოდები,** ესენია: ანალიზი; დაკვირვება; სტატისტიკური მონაცემები; შედარება, ჰიპოთეზა.

Mzia shavlokhashvili

The introduction of inclucive education, necessity and monitoring rules in Georgia

Annotation

The topic of our master work is introduction of inclusive education, necessity and monitoring rules in Georgia, which is connected with the development mechanisms of inclusive education and involving cccm pupils in general educational programs and perspectives of inclusive and social development. This question is actual because we come across many problems about inclusive education in our daily life. The aim of this research is to lesrn the introduction of inclusive educational prosses and its necessity for cccm and shshm persons. Establishment of inclusive education is the most important strategy for integration of ccm and shshm pupils in society. Discassing these questions and what is the situation about solving problems according to monitoring and mechmisms of elimination. Also to learn quality of informing society and their dependence on inclusive education. Working on this isgue some purposes were put out:

1. Precise dependence of disabled pupils about involving in inclusive educational projects.
2. Prencise informing society about inclusive education.

The searching topic which was chosen by us is actual and the purpose is to shou the importance of this issue, because nowadays disabled people still continue fighting to establish themselves in society so as they are in real life and their rights must be defended by the law and social ideas. The object of this research are methors and plans connected with inclusive education which is introduced by The Ministry of Education. The object of this research is statistic of shshm persons in Georgia and existence of information on official websites. According to our research we can prove that inspite of several reforms in our country inclusive education is in front of many challenges real problem is dependence of society on disabled persons. The news of this research is that in our country this question still stays as an actual problem. Its difficult for shshm people to walk in the streets, to use social transport and to be employeed and there may be many other problems because of many different ideas in society.

We used some methods in our searching pprosses, they are: analisation, observation, statistic and hypothesis.

ს ა რ ჩ ე ვ ი :

შესავალი..... 8

თავიI: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში..... 11

1.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა..... 11

1.2 რას გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობები..... 19

1.3 ინკლუზიური განათლება,მისი სახეები და ხელშემწყობი გარემო..... 24

თავი II: ინკლუზიისა და სოციალური განვითარების პერსპექტივების შესახებ..... 34

2.1 სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამების შესახებ..... 34

2.2 სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მინიჭება..... 47

2.3 ინკლუზიური განათლების მონიტორინგი სახელმწიფოს მიერ..... 52

2.4 ინკლუზიური განათლების ხელისშემშლელი ფაქტორები..... 53

2.5 შეზღუდული შესაძლებლობები და ინტეგრაცია საჯარო სამსახურში..... 56

დასკვნა..... 60

გამოყენებული ლიტერატურა..... 61

დანართი.....64

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობა: სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხები შეეხება სსსმ და შშმ პირების უფლებებს, მათ მიმართ საზოგადოებისგან ცივ დამოკიდებულებას, თუ როგორ განვითარდა წლების წინ დაწყებული რეფორმები ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლას, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას და პრობლემის გამოკვეთას.

ცვლილებები სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში 1994 წლიდან დაიწყო არასამთავრობო სექტორის მიერ. 2004 წლიდან სახელმწიფოს მხიდან პრიორიტეტი გახდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. საქართველოსთვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემების შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის არსსა და აღმოვაჩინოთ ის საწყისები, რამაც გამოიწვია ამა თუ იმ სტერეოტიპისა და ნეგატიური დამოკიდებულების წარმოშობა და ხელი შევუწყოთ მათ დანერგვასა და მოგვარებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ამას ხელს უწყობდა თავად საზოგადოება. ამ მიმართულებით სახელმწიფომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები:

- საჯარო სკოლებისათვის დამატებითი ფინანსების გამოყოფა;
- სსსმ მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს რესურს ოთახები;
- ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად საჯარო სკოლებში 1300მდე სპეციალური მასწავლებელია დასაქმებული;
- ვითარდება ქართული ჟესტური ენა;
- უსინათლო მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ბრაილის სახელმძღვანელოებით, საგანმანათლებლო რესურსებით და შესაბამისი ტექნიკით;
- მასწავლებლებისთვის მეთოდოლოგიური გზამკვლევი შეიქმნა;

- ინკლუზიური განათლება დაინერგა პროფესიული განათლების საფეხურზე;
- ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურება.

ნაშრომში განხილულია ცნებები, ხელისშემლელი და ხელშემწყობი ფაქტორები, მონიტორინგის წესები და ბოლო პერიოდში გატარებული რეფორმები. გამოვლენილი ხარვეზები განხილულია და მათი მოგვარების აუცილებლობა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი წინაპირობა. ნაჩვენებია საზოგადოების როლი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ ადამიანების ადაპტაციისთვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ჩატარებული კვლევის მიზანი გახლდათ ინტერნეტ რესურსზე, საინფორმაციო წყაროზე და სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილ იქნეს ინკლუზიური განათლების დანერგვის საჭიროება, მონიტორინგის წესები და გამოვლენილი საჭიროებები, ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამები და ინკლუზიური განათლების ხელისშემშლელი ფაქტორები.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა, შეფასებები და ძირითადი დაშვებები ეყრდნობა ოფიციალურ წყაროებს, სტატიებს, კვლევებს, ანგარიშებს, რომელშიც განხილულია ინკლუზიური განათლების საკითხები, სახელმწიფოს მხიდან გატარებული რეფორმები და მონიტორინგის შედეგები. ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების ანალიზი და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. ასევე დამუშავებულ იქნა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტ გვერდიდან და ინკლუზიური განათლების ინტერნეტ გვერდიდან.

ჩატარებული იქნა შემდეგი სახის კვლევა: მოძიებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით შშმ პირებისა და სსსმ პირების რაოდენობა, ასევე განხილულ იქნა საქართველოში შშმ პირთა პრობლემები.

ჩატარებულ კვლევაში შეფასებულია სახელმწიფოს მიდგომა ინკლუზიური განათლების პრობლემაზე და გამოვლენილია, როგორც უარყოფითი ისე დადებითი მხარეები და რეკომენდაციები, რა გზებითაა შესაძლებელი აღნიშნული პრობლემების მოგვარება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული პრეზენტაციები, ასევე კანონები და კვლევები.

კვლევა დაეყრდნო საქართველოს ოფიციალური ვებ-გვერდების სტატიებს და წლიურ ანგარიშებს. მასალა გამოყენებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მასში მიმოხილულია ახალი რეფორმები.

თავი I. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში

1.1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

XXI საუკუნეში თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, რომელიც არ არის ახალი და დღის წესრიგში შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში დადგა. საქართველოსთვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემების შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის არსსა და აღმოვაჩინოთ ის საწყისები, რამაც გამოიწვია ამა თუ იმ სტერეოტიპისა და ნეგატიური დამოკიდებულების წარმოშობა და ხელი შევუწყოთ მათ დანერგვასა და მოგვარებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ამას ხელს უწყობდა თავად საზოგადოება.

ისევ არ შეცვლილა საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ, დღემდე ისევ მძიმე სურათია. უამრავი პრობლემა რჩება დაუძლეველი, რის გამოც ისინი დისკრიმინაციას განიცდიან ჩვენს რეალობაში.

დღესაც, განვითარებულ საზოგადოებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განაგრძობენ ბრძოლას, რათა მათ შეძლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა და შესვლა ისეთ შენობებში, სადაც განთავსებულია სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები და ა.შ. შეძლონ დამოუკიდებელი გადაადგილება, აგრეთვე ფიზიკური განსხვავება არ უშლიდეთ ხელს დასაქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უფლებების დამცველი კანონები, მაინც აწყდებიან ისეთ პრობლემებს, რასაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ქონდა ადგილი. საზოგადოებას

ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რათა შეძლოს განთავისუფლდეს სტერეოტიპებისა და ნეგატიური აზრებისაგან.

ჩვენ ყველანი უნდა დავეხმაროთ მათ უფლებების დაცვაში, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის მზად, ან არ თვლის თავს ვალდებულად, სათანადოდ გამოეხმაუროს ამ საკითხს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყველაზე მეტად სურთ, რომ საზოგადოებამ ისინი ისეთებად მიიღონ, როგორებიც სინამდვილეში არიან და რომ მათ უფლებებს კანონმდებლობა და საზოგადოებრივი აზრი იცავდეს.

განვიხილოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ცნება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (სსსმპ) - პირი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება თანატოლებთან შედარებით სწავლის პროცესში, როდესაც მოსწავლე აწყდება სირთულეებს და მას სჭირდება დახმარება, ეროვნული საგანმანათლებლო გეგმის მოდიფიცირება, ან სასწავლო გეგმის ინდივიდუალურად შედგენა და ადაპტაცია სასწავლო გეგმასთან. სსსმ პირები შეიძლება იყვნენ მოსწავლეები და სტუდენტები, რომელთაც აქვთ:

- ფიზიკური შეზღუდვა;
- სენსორული განვითარების დარღვევა, როგორიცაა სმენა და მხედველობა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- მეტყველების განვითარების დარღვევა.

ამ ტერმინის დამკვიდრება აუცილებელი გახდა, მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს არ აღენიშნებათ. მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სწავლის პროცესში არსებულ სირთულეებზე.

ჩვენს ქვეყანაშიც გახშირდა შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის დარღვევასთან სკოლის ასაკიდანვე. რაც დაკავშირებულია ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის დარღვევასთან, რასაც ასახავს მისი სამედიცინო დიაგნოზი, თუმცა სამედიცინო დიაგნოზის არსებობა არ გულისხმობს შეზღუდულ შესაძლებლობას, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქრონიკული დიაგნოზის მქონე ბავშვები საკმაოდ კარგად ადაპტირებენ, როგორც საზოგადოებასთან, ასევე სასწავლო გარემოშიც.

საგანმანათლებლო საჭიროება, რომელიც შეიძლება გახდეს ბარიერი როგორც განათლების, ასევე დასაქმებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში, რაც გულისხმობს ნებისმიერი მიზეზით გამოწვეულ დაბრკოლებებს ინფორმაციის და/ან ცოდნის იმ სახით აღქმას და გააზრებას, როგორც ეს ჩვეულია დანარჩენი პოპულაციისათვის. სპეციალური საჭიროების მქონე პირებს ესაჭიროებათ ინფორმაციის, მასალის ადაპტირება მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება იმ ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, რომლებიც მათ აქვთ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- ისინი არიან ადამიანები,რომლებსაც აქვთ განსხვავებული შესაძლებლობები;
- როგორი შესაძლებლობებია იქ, სადაც ამ ადამიანებს მოუწევთ სწავლა, ტრენინგი თუ დასაქმება;
- პროცესების დაგეგმვის საფეხურზე ჩავრთოთ ეს პირები;
- ტრენინგის/სწავლების დროს უზრუნველვყოთ ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლის პროცესში მის სრულ მონაწილეობას განაპირობებს;
- პროცესების განხორციელებისას მივცეთ მუდმივი უკუკავშირი;

- შევქმნათ ისეთი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შევაფასებთ მის პროგრესს.[1]

ასევე დამკვიდრებულია ცნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ეს არის პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს შემდეგი სახის საქმიანობაში:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს გაკვეთილის/ლექციის პროცესში ეხმარება ჩაერთოს მიმდინარე სასწავლო აქტივობებში;
- სასწავლებლის შიგნით ხელს უწყობს მის ადაპტაციასა და დამოუკიდებლად ფუნქციონირებას სწავლასა და დასვენების პროცესში;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტსა და მასწავლებელს ეხმარება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობს და აკონტროლებს უსაფრთხოების პირობებს.[2]

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლინებიდან ერთი თვის ვადაში.

---

[1] მ.ზაქარეიშვილი, ლ.ბარაბაძე, ვ.მიდელაური - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება (გზამკვლევი). თბ.,2015 გვ16

[2] ინკლუზიური პროფესიული და უმარლესი განათლება (15 წლიდან)

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი მოსწავლეს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.
- არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (ხანგრძლივი ავადმყოფობა), გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალური სასწავლო პროგრამას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის შესაძლებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობაში ჩართვისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას საკლასო და აკადემიურ საქმიანობაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საშუალებას იძლევა მოსწავლე ორიენტირებული იყოს სასწავლო საქმიანობაზე სკოლაში და სახლში.

ამ დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ეს მიზნები შესაძლოა განსხვავებული იყოს მოსწავლის საფეხურის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებისგან, თუმცა ძირითადად მაინც ეროვნულ სასწავლო გეგმას ეყრდნობა. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლისათვის ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრა არ ნიშნავს მოსწავლის სასწავლო პროცესისგან მოწყვეტას, პირიქით, ინდივიდუალური გეგმა კიდევ უფრო უნდა უწყობდეს ხელს მოსწავლის ჩართვას სასკოლო და საკლასო აქტივობებში.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასკოლო გეგმის შედგენის პროცესის პირველი ეტაპია მოსწავლის სხვადასხვა უნარების შეფასება. მოსწავლის უნარების შეფასების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი შესაძლებლობების განსაზღვრის შემდეგ, იწყება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე. მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა.

გრძელვადიანი (წლიური) მიზანი არის დებულება, რომელსაც მოსწავლემ სასწავლო წლის ბოლოს სკოლის რესურსების გათვალისწინებით უნდა აჩვენოს თავისი ძლიერი მხარეები, საჭიროებები და არსებული დონის მიღწევა. ამ მიზნის შეცვლა შესაძლებელია მას შემდეგ, რაც მასწავლებლები მოსწავლეს უკეთ გაიცნობენ და დარწმუნდებიან მის შესაძლებლობებში.

მოკლევადიანი მიზნები ეს არის საფეხურები, რომელსაც გრძელვადიანი მიზნისკენ მივყავართ. მოკლევადიანი მიზნები უფრო კონკრეტული და სპეციფიკურია, მოკლევადიანი მიზანი ძირითადად გაწერილია 4-6 კვირაზე, მოკლევადიანი მიზნების ერთობლიობას და თანმიმდევრობას ლოგიკურად უნდა მივყავდეთ გრძელვადიანი მიზნისკენ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ინდივიდუალური სასწავლო ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა, შეხვედრაზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები.

მნიშვნელოვანია, რომ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები შესაძლოა შეიცვალოს მას შემდეგ, რაც გადაიხედება გეგმის განხორციელებისა და მიზნების მიღწევის პროცესები და განისაზღვრება საჭიროა თუ არა მიზნების ცვლილება, გართულება ან გამარტივება. გეგმის განხორციელების მონიტორინგის შემდეგ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.[3]

საქართველოს განათლების სისტემა 2004 წლამდე არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებას, ერთადერთი საშუალება იყო სპეციალიზირებული სკოლა. სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოვლენას დიდი სიფრთხილე სჭირდება, რათა არ მოხდეს როგორც მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ისე სპეციალური საგანმანათლებლო

[3] თ.პაჭკორია, ს.მაზმიშვილი, თ. კბილცეცხლაშვილი, ქ.იაშვილი, მ. ჭელიძე - ინკლუზიური განათლება - მოსწავლე, ოჯახი და სკოლა. გვ10-13

საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა, რადგან სტატუსის არსებობის შემთხვევაში სტუდენტი ხდება უფლებამოსილი ისარგებლოს საჭირო ინდივიდუალური მხარდაჭერით, როგორიცაა სპეციალისტის მხარდაჭერა, ადაპტირებული სასწავლო რესურსები, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგამოცდო, საგანმანათლებლო ფიზიკური და სოციალური გარემო.

დღეისათვის საქართველოში არაერთი ნაბიჯია გადადგმული შშმ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. საქართველოს მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ახორციელებს ოჯახის მხარდამჭერ სხვადასხვა სახის მომსახურებას, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების უნარების განვითარებას, ოჯახის მხარდაჭერას ბავშვის განვითარების პროცესში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდას.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებისათვის სწავლის უკეთესი გარემო ინკლუზიური კლასია, რათა ისწავლონ მრავალფეროვან და ინტეგრირებულ საზოგადოებაში ცხოვრება, ბავშვებსა და მოზარდებს ესაჭიროებათ ინკლუზიურ კლასებში სწავლება, რომლებიც შეესაბამება მათ საგანმანათლებლო, სოციალურ და ფიზიკურ საჭიროებებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების დანერგვა ზოგადი განათლების საფეხურზე კონვენციის რატიფიცირებამდე ბევრად ადრე 2006 წელს დაიწყო. შედეგად, საქართველოს მასშტაბით ინკლუზიურ განათლებაში 1000-ზე მეტი სკოლაა ჩართული

საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 2014 წლიდან 2019 წლამდე.



ქართულ ენასა და მათემათიკაში დამხმარე სახელმძღვანელოები შეიქმნა სსსმ მოსწავლეებისთვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, რომლებიც გადაეცა საჯარო სკოლებს და ასევე შრომის, ჯანმრთველობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არსებულ მიუსაფარი ბავშვების 6 დღის ცენტრს. დაიბეჭდა სულ 11 დასახელების წიგნი, მათგან ნაწილი წარმოადგენს სსსმ მოსწავლეთა დამხმარე სახელმძღვანელოებს, რომლებიც მათ გაუადვილებს ქართული ენისა და მათემათიკის ათვისებას საგაკვეთილო პროცესში, ხოლო ნაწილი არის გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, სადაც დეტალურადაა განმარტებული, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს და ჩატარდეს გაკვეთილი სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით, რათა ყველა საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართულობა გაიზარდოს.

მოსწავლეთა მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას ითვალისწინებს სახელმძღვანელო ამა თუ იმ ნიშნით - ინტერესებით, მისწრაფებებით, შესაძლებლობებით და აერთიანებს არა მხოლოდ სტანდარტულ რეკომენდაციებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, არამედ დეტალურად ასახავს რეკომენდაციებს და წარმოდგენილი აქტივობების ადაპტირების

შესაძლებლობებს მოსწავლეთა სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით.[4]

1.2. რას გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობები

შეზღუდული შესაძლებლობები არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. შესაბამისად, შეზღუდული შესაზლებლობის მქონე პირებად ის ადამიანები ითვლებიან, რომელთაც მნიშვნელოვანი სირთულეები ექნებათ ასაკის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას და ამ პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებენ. აღნიშნულ კატეგორიაშია ბავშვები გონებრივი, მეტყველების განვითარების, ემოციური დარღვევებით, მხედველობის დაზიანება/სიბმავით, ორთოპედიული დაზიანებით, აუტიზმით, თავის ტვინის ტრავმითა და ჯანმრთველობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ფიზიკური თუ გონებრივი ტრავმის გამო დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები ჯანმრთველობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რის შედეგადაც უძნელდება საზოგადოებაში თავის დამკვიდრება და პროფესიული უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან ფსიქიკური, ფიზიკური, ინტელექტუალური დარღვევებით. ასეთ ადამიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტური მონაწილეობის მიღებისას ხშირად ექმნებათ პრობლემები, რის გამოც ისინი არ არიან საზოგადოების სხვა წევრებთან თანაბარ პირობებში.

[4] https://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9B&id=8115&lang=geo - სსსმ მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების დაბეჭდა.

ჩვენს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობები არის ოფიციალური სტატუსი, რომელსაც პირს შრომის, ჯანმრთველობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ანიჭებს.

გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'' XXI საუკუნის პირველი ყოვლისმომცველი ადამიანის უფლებების ხელშეკრულებაა ამ სფეროში. უმნიშვნელოვანესია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის (UNCRPD) როლი, ვინაიდან, მისი შინაარსი სრულად ცვლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით აქამდე არსებულ დამკვიდრებულ მიდგომებსა და ხედვებს. UNCRPD-ის პირველ მუხლში განსაზღვრულია დოკუმენტის მიზანი, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ყველა უფლებითა და თავისუფლებით სრულყოფილად და თანასწორად სარგებლობასა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობას.[5] კონვენციის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვას. არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით/გაძლიერებით, არამედ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებაშემლახავი პრაქტიკის შეცვლით. UNCRPD სახელმწიფოს ვალდებულებად მიიჩნევს ებრძოლოს სტერეოტიპებს, არსებულ სტიგმებს და საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ახალი მიდგომებით ჩაანაცვლოს.

გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ''. - კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ინტერესები.[6] კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

[5] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'', მუხლი 1
[6] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'', მუხლი 7, პუნქტი 2.

უფლებას განათლების მიღებაზე. ამ უფლების რეალიზებისათვის მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას.[7]

2013 წელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის, მათ შორის ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი წელი იყო. 2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის''(CRPD) რატიფიცირების შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა რაოდენობა დედამიწის მოსახლეობის თითქმის 10%-ს შეადგენს, აქედან 120 მილიონი ბავშვი და მოზარდია. დღეისათვის აღნიშნული რიცხვი საკმაოდ მაღალია საქართველოშიც. ოფიციალური მონაცემებით საქართველოში დღეს 200 000-მდე შშმ პირია, არაოფიციალურობით კი - დაახლოებით ორჯერ მეტი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ დამოკიდებულება საქართველოში არის ქართული საზოგადოებრივი სახელმწიფოებრივი განვითარების შედეგი, რომელიც ემყარება სოციალურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ფაქტორებს. წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და მყარდებოდა მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა ჩართულობას, მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას, სხვებთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღებას და დასაქმებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები საქართველოს მოქალაქეების არც თუ ისე მცირე ნაწილს შეადგენენ.

რა პოტენციალია იმ 10,052 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებში, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და თანამედროვე საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის საშუალება ეძლევათ, ახალი ტექნოლოგიებია.

[7] გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ'', მუხლი 24

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ როდესაც 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 118,651 მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს - 125,104 საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური ადგილი, ოჯახია. შშმ პირებს აქვთ განსხვავებულად მომეტებული მოთხოვნილება - დაეყრდნონ მოზრდილებს, მათი ბედი დამოკიდებულია ოჯახის პოზიციაზე. შშმ პირთათვის ოჯახი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ხშირად კი ერთადერთი რესურსი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი სოციალიზაციისა და თვითრეალიზაციისათვის. ერთის მხრივ, ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი მშობლების სწორი ურთიერთობები განსაზღვრავს შშმ პირთა სარეაბილიტაციო პოტენციალის მნიშვნელოვან ნაწილს, მეორეს მხრივ კი ბავშვის ჯანმრთველობის მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენს მშობლების ფსიქო-ემოციურ და თუნდაც ფიზიკურ შესაძლებლობებზე. ბავშვთა ეს კატეგორია განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მშობლებისგან, რაც აუცილებლად აისახება ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე. ასეთ ოჯახებს უხდებათ იმ ბარიერების დამოუკიდებლად გადალახვა, რომლებიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს უკავშირდება. ეს არის პრობლემების ერთგვარი ჯაჭვი, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ შშმ/სსსმ ბავშვის, არამედ მშობლების ცხოვრებაზეც. სწორედ ამიტომ, შესაბამის განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არა მარტო სსსმ პირის, არამედ მისი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მხარდაჭერაც, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს არა მარტო ამ კატეგორიის ბავშვთა ოჯახების წევრების ცხოვრების ხარისხს, არამედ შესამჩნევად აამაღლებს თვით ამ პირთა სარეაბილიტაციო პოტენციალს.

მშობლების როლი მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში. მშობლებს შეუძლიათ სპეციალისტებს მიაწოდონ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი შვილების შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეებთან მუშაობისა, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის მაღალი დონის დამკვიდრება და ერთობლივი მუშაობა, რათა მოხდეს მათი ადაპტაცია.

პრობლემების თვალსაჩინოების მიხედვით მკვლევარები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორ დიდ ჯგუფს გამოყოფენ:

- თვალსაჩინო უნარშეზღუდულობა, ხელს უშლის ან ზღუდავს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობას, სწავლას. მას სჭირდება მრავალი ტექნიკური და დამხმარე საშუალებები ცხოვრების გზაზე. ამ ჯგუფში არიან მოტორული უნარშეზღუდულობის მქონე ადამიანები (სხვადასხვა ეტიოლოგიის - თანდაყოლილი ან შეძენილი), მხედველობისა და სმენის პრობლემების მქონე ბავშვები, გენეტიკური დარღვევებისა და გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირები;
- არათვალსაჩინო უნარშეზღუდულობა, როდესაც ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობა მოქმედებასა თუ მონაწილეობაში ცხადად არ ჩანს. ასეთი ბავშვების პრობლემის გამოვლენა გაძნელებულია, რადგან ისინი გარკვეულ სტადიაზე მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ჯანმრთელი ბავშვებისგან. პრობლემამ შეიძლება თავი იჩინოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე ან გარკვეულ სიტუაციაში. პრობლემები შეუმჩნეველი რჩება საზოგადოებისათვის.[8]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე 1992 წლიდან ყოველწლიურად 3 დეკემბერს აღინიშნება. გაეროს ინიციატივით დაარსდა და მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში. ამ დღესთან დაკავშირებული სლოგანია **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაძლიერება, საყოველთაობისა და თანასწორობის დაცვა"**, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ყველა ადამიანის საჭიროებებზე მორგებული, თანასწორი და მდგრადი განვითარების მნიშვნელობას.

[8] თ.გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ.ფილაური, მ.ბაგრატიონი - ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბ., 2008 გვ 10

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევაა გაწეული, შეზღუდული შესაძლებლობის პირებს კვლავაც ექმნებათ გადაადგილების, განათლების, დასაქმების და სხვა სახის პრობლემები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყოველდღიურად უწევთ დიდი დაბრკოლებების გადალახვა. ამის გამო შშმ პირების ნაწილი გამოკეტილია დახურულ სივრცეში და ვერ ახდენს საზოგადოების ნაწილად თავის აღქმას, ნაწილი კი მძიმე საზოგადოების სტიგმის მსხვერპლია. ამიტომ, დღეს ჩვენ უნდა გვესმოდეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერებასა და სოლიდარობას მშშ პირების მიმართ.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს მშშ პირების უფლების დაცვას არა მხოლოდ მათი კანონმდებლობაში დეკლარირებით, არამედ რეალურად, სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა დაუპირისპირდეს არსებულ სტერეოტიპებს, სტიგმებს, დაგეგმოს და განახორციელოს ყველა ნაბიჯი შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით.

ასევე საქართველოში აღინიშნება შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დაცვის დღე. საქართველოს პრეზიდენტის 260-ე ბრძანების თანახმად, 2003 წლიდან 14 ივნისი შშმ პირთა უფლებების დაცვის დღედ გამოცხადდა.

1.3. ინკლუზიური განათლება,მისი სახეები და ხელშემწყობი გარემო

ინკლუზიური განათლების პროგრამა შეიქმნა 2009 წლის აგვისტოში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. მისი მიზანია: სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესების

ხელშეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო, მათ შორის სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში.

ინკლუზია - ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ჩართვას. **ინკლუზიური განათლება** - გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში. ინკლუზიური განათლება მოიცავს, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული საჭიროების (შშმ) პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნასა და სწავლებას. ინკლუზიური განათლება თუ არ განხორციელდა ეფექტურად, ეს იქნება განათლების სისტემის დიდი ნაკლი, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული ბავშვის სრულფასოვანი განათლება.

ინკლუზიური განათლების არსში იგულისხმება, ის რომ განათლების სისტემა და საგანმანათლებლო დაწესებულება კულტურით, სასწავლო გარემოთი, წესებით, სასწავლო გეგმით, მეთოდებით, მასწავლებლებით მოერგოს ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტს და არა - პირიქით. ინკლუზიური მიდგომის თანახმად პრობლემა განათლების ხისტ სისტემაშია და არა სტუდენტებში.

სალამანკას დეკლარაცია „ინკლუზიური განათლების შესახებ". - სალამანკას დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ მიღებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების ხელშეწყობის მიზნით. [9] დეკლარაცია სპეციალური საგანმანათლებლო სჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის აუცილებლობას ითვალისწინებს და ეხება იმ ძირითად უფლებებს, რომლებიც გულისხმობს განათლების მიღებას სასკოლო დაწესებულებებში.[10]

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, არის დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალება. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა.

---

[9] სალამანკას დეკლარაცია, მუხლი 37.
[10] სალამანკას დეკლარაცია, მუხლი 43-46.

სწორედ ინკლუზიური განათლებით არის შესაძლებელი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციას.

იქ, სადაც ინკლუზიური განათლება ინერგება, სისტემა, დაწესებულება და მასწავლებელი მზად არიან, მიიღონ ნებისმიერი სტუდენტი, მოსწავლე და ცდილობენ მისივე თანამონაწილეობით და მრავალფეროვანი გზის გამოყენებით, უზრუნველყონ ისინი ხარისხიანი განათლებით. ინკლუზიური განათლების სასწავლებლის კარი ღიაა ნებისმიერისთვის, მიუხედავად მისი სოციალური, კულტურული, ეთნიკური, მოტივაციის, უნარის, სწავლის სტილისა და რიტმის განსხვავებულობისა. ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა არავისთვის არ არის შეზღუდული. ინკლუზიური განათლების უპირატესობა მისი დემოკრატიულობაა, რაც ქმნის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ, სოციალური ერთობის წამახალისებელ, მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის დამფასებელ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სივრცეს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე (მაგ.წერა, კითხვა) და არააკადემიურ (დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხავებულობას მოსწავლეების სწავლის პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს.

ინკლუზიური განათლების დანერგვის დროს გათვალისწინებულია ის, რომ მოხდებოდა არამარტო შშმ მოსწავლეების სოციალური ინტეგრაცია, გაუმჯობესდებოდა მათი მეტყველება, ქცევა, აუმაღლდებოდათ თვითშეფასების გრძნობა, არამედ ჯანმრთველი ბავშვები მიეჩვეოდნენ განსხვავებულობის მიღებასა და პატივისცემას, უფრო ემპათიურები გახდებოდნენ, მეტად დაეხმარებოდნენ ერთმანეთს. ინკლუზიური განათლების დანერგვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ერთი, ან ორი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავმლის განვითარებას, არამედ იმავე კლასში მყოფი სხვა მოსწავლეების ცოდნის გაღრმავებას. ამ მოსწავლეების მიმართ მთავარია კლასელების და მასწავლებლების ჯანსაღი დამოკიდებულება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ადრეულ ინკლუზიურ განათლებაში ყურადღებას აქცევენ, თუ როგორი განათლება აქვთ მიღებული, აღმზრდელ-პედაგოგებსა და ამღზრდელებს, რომლის საფუძველზეც მათ უნდა ასწავლონ და განავითარონ ბავშვები.

სწავლის პროგრამა ადრეულ ინკლუზიურ დაწესებელებებში დაფუძნებული უნდა იყოს ასაკობრივი განვითარების შესაბამისი, ის უნდა ეფუძნებოდეს სწავლასა და თამაშს, რადგან ბავშვის ტვინი მეტად ითვისებს სასწავლო მასალას. ასეთი პროგრამა ავითარებს მნიშვნელოვან უნარებს და ამზადებს სკოლისათვის, ის აძლევს შემდეგი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას:

- ყურადღების მობილიზება და თვითღირებულება;
- საკუთარი ემოციებისა და ქცევის კონტროლი;
- იმედგაცრუებასთან გამკლავება;
- სწავლის მოტივაცია და ჯგუფში მუშაობის უნარები.

განათლება ინკლუზიურია, ანუ უნივერსალურია, როდესაც მასში ჩართულია ყველა ადამიანის განცდა, როცა მისი ემოციების ესმით, მის თავისებურებებს ითვალისწინებენ, აზრს ეკითხებიან და ამ აზრის გამოსახატავად მრავალფეროვან საშუალებებს სთავაზობენ.[11]

ინკლუზიური განათლების საკითხში მშობელთა განათლების არასაკმარის დონეზე და საზოგადოების არაერთი კვლევა მეტყველებს. საქართველოში კვლევების უმრავლესობა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ტარდება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ბოლო პერიოდში (2013-2014) ერთ-ერთი საკმაოდ მასშტაბური კვლევა ჩატარდა ტემპუსის საგრანტო პროექტის „Access to Inclusive Education and Social Integration (ASPIRE)" ფარგლებში, რომელსაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 14 პარტნიორი უნივერსიტეტის/ორგანიზაციის და მათ შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) ჩართულობით. ამ პროექტის მიზანი იყო ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანების განათლებას, მათ სოციალურ ინტეგრაციასა და დისკრიმინაციის შემსუბუქებას. კვლევის მიზანი იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენის (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, სსსმ პირები და მათი მშობლები, სკოლის მასწავლებლები, საჯარო მოხელეები და საზოგადოების რიგითი წევრები) ცნობიერების დონისა და ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულებისადმი დადგენა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერისა და ამ მიმართულებით დღემდე გადადგმულმა წარმატებული ნაბიჯების მიუხედავად, საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არაა გაცნობიერებული ინკლუზიური განათლების საკითხებში, რაც ბუნებრივია თავისებურად უშლის ხელს პროცესის წარმატებით განხორციელებას.

ინკლუზიური განათლება ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და სწავლების ფორმისაგან, ის სხვადასხვა სახეებს

[11] ადრეული ინკლუზიური განათლება პრაქტიკოსებისათვის,(ნაწილი პირველი) გვ 7-9

მოიცავს. **ინკლუზიური განათლების სახეებია** - სრული ჩართვა, ნაწილობრივი ჩართვა, ინტეგრირებული სწავლება და რესურს ოთახი.[12]

სრული ჩართვა - ნიშნავს საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სრულად ჩართვას სასწავლო პროცესში, ყველა გაკვეთილზე დასწრებასა და თითოეული ამ გაკვეთილის თავისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ნაწილობრივი ჩართვა - ნიშნავს საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დასწრებას არჩევით გაკვეთილებზე. მოსწავლის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, მისთვის იქმნება ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგი და იგი ესწრება მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომელსაც მისი განრიგი ითვალისწინებს. ნაწილობრივი ინკლუზია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ძალიან მოქნილი ფორმაა. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე ემსახურება: ა) მოსწავლის ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო პროცესში; ბ) მოსწავლის შეგუებასა და თანდათანობით ადაპტირებას სასწავლო გარემოსთან; გ) მოსწავლისათვის საკმარისი დროისა და სივრცის უზრუნველყოფას თანატოლებთან გასაცნობად და არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისთვის.

ინტეგრირებული სწავლება - ნიშნავს საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ერთ კლასში არიან გაერთიანებული და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. ინტეგრირებული კლასის სასწავლო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ჩართული არიან ყველა სასკოლო აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენა და სხვა), ინტეგრირებული სწავლება ხშირად ხდება საფუძველი წარმატებული ინკლუზიისა და ამდენად, საკმაოდ ღირებული ფორმაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებისათვის.

[12] მ.მიქელაძე - ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისთვის თბ., 2009 გვ 15-17

რესურს ოთახი - სპეციალურად გამოყოფილი ოთახია სკოლაში, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ყველა თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებით მოსწავლეების განათლების ხელშეწყობისათვის. მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, ადაპტირებული ავეჯი, აუდიო-ვიდეო აპარატურა. რესურს ოთახს შესაძლოა ემსახურებოდეს სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობს. რესურს ოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ, საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ ან ჯგუფურად იმეცადინონ. მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის სკოლაში რამდენიმე პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში.

სკოლაში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სწავლისა და მოსწავლეებისთვის როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული - მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება.

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. ეს არის მოსწავლის თვითშეფასების

ამაღლება,სწავლისადმი ინტერესის გაღვივება, ქცევის პოზიტიური მართვა და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე. სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში სკოლა ქმის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას, ეს პრინციპებია:[13]

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. მოსწავლეების მიღებისას სკოლა არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით;
- სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სკოლისთვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა: თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, სასწავლო პროცესსა და მთლიან სასკოლო აქტივიობაში მათი ჩართულობის ხარისხს;

[13] მ.მიქელაძე - ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისთვის თბ., 2009 გვ 17-22

- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელმშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული სასწავლო გეგმები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა;
- მოსწავლის სკოლაში მიღება და მისთვის შესაფერისი სწავლის საფეხური ირჩევა მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერესების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეულ სწავლის საფეხურს შორის შესაბამისობას;
- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს ქმნის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განხილვისთვის;
- სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობას, რათა ხელი შეუწყონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მოსწავლეთა მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი არიან მათი განათლების პროცესში.

თავი II. ინკლუზიისა და სოციალური განვითარების პერსპექტივების შესახებ

2.1 სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამების შესახებ

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს (სსსმ) არ ქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში თანატოლებთან ერთად. 1994 წლიდან დაიწყო ცვლილებები სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში არასამთავრობო სექტორის მიერ, სახელმწიფოს მიერ ყურადღების მიღმა რჩებოდა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლება, როგორც პრიორიტეტი სახელმწიფოს მხიდან აღიარებულ იქნა 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო განათლების რეფორმა. ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური სწავლების დანერგვას ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავრობამ გაუწია. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ 2005 – 2008 წლებში განხორციელდა პროექტი „ინკლუზიური სწავლების დაგეგმვა თბილისის 10 სკოლაში'', რომელმაც ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას. პროექტის შედეგმა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება ერთიანი შეთანხმებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს. ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად უნდა იყოს ასახული განათლების ეროვნული პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ხელმძღვანელობენ UNESCOS-ს განათლების პროგრამით, რომლის მიზანი იყო 2015 წლისათვის ყველა ბავშვს მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებისა ჰქონებოდა საშუალება:

- ესწავლა ზოგად საგანმანათლებლო სკოლაში საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.
- მიეღო ცოდნა მრავალფეროვანი მოქნილი, აკადემიურ და სოციალურ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის მეშვეობით.
- ჩართული ყოფილიყო განათლების უწყვეტ პროცესში, სკოლანდელი განათლებიდან პროფესიული და უმაღლესი განათლების ჩათვლით.
- სრულფასოვანი მონაწილეობა მიეღო სკოლასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში.
- ყოფილიყო სრულფასოვანი მოსწავლე და მაქსიმალურად განევითარებინა საკუთარი პოტენციალი.

2004 წელს საგანმანათლებლო რეფორმის მეშვეობით ინკლუზიური განათლების განვითარება სახელმწიფოს პრიორიტეტად იქნა აღიარებული. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თავის გრძელვადიან მიზნად დაისახა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლების სფეროში ერთიანი შეთანხმებული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ასახავდეს აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს ამ სფეროში. განათლების და მეცნიერების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამართველო გეგმავს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში 5 ქვეპროგრამის განხორციელებას. ეს ქვეპროგრამებია: **მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობა, ინტეგრირებული კლასების დაფინანსება, პროფესიული ინკლუზია, სოციალური ინკლუზია, განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა.**[14]

მულტიდისციპლინური გუნდის ხელსშეწყობა - მულტიდისციპლინური გუნდი წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის ძირითად ფუნქციას საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს. მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებასა და სკოლების

[14] http://inclusion.ge/geo/static/7 - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის განხორციელების ქვეპროგრამები.

ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მშობლების კონსულტირებას, სსსმ მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გუნდის წევრები ახორციელებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებასა და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას. მულტიდისციპლინური გუნდი ფუნქციონირებს თბილისსა და რეგიონებში. გუნდის შემადგენლობაში შედის: ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და ოკუპაციური თერაპევტი.

მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება გულისხმობს სიღრმისეული და კომპლექსური ინფორმაციის მოძიებას სსსმ მქონე პირის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ, შემდეგი სფეროებიდან: აკადემიური, შემეცნებითი, ფსიქოემოციური, სოციალური, ქცევითი, კომუნიკაციური, მოტორული, ფუნქციური; ასევე მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის სამედიცინო, სოციალური და საგანმანათლებლო ისტორიისა და საგანმანათლებლო გარემოს რესურსებისა და ბარიერების შესახებ; მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება ხორციელდება როგორც სსსმ განსაზღვრის, ასევე საგანმანათლებლო ფორმის, გარემოს შერჩევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიის შემუშავება და საგაკვეთილო პროცესში სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა:

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურების უზრუნველყოფა.
- სსსმ პირთა ხარისხიანი პროფესიული განათლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.
- სსსმ პირთა სკოლის საფეხურიდან პროფესიული განათლების საფეხურზე და პროფესიული განათლების საფეხურიდან სამუშაო ადგილზე ტრანზიციის პროცესის კორდინირება.
- კვალიფიციური დახმარების გაწევა, სკოლა - პანსიონებისთვის ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში.

ინტეგრირებული კლასების დაფინანსება - პროგრამის მიზანია ფუნქციონირება გააგრძელოს არსებულმა ინტეგრირებულმა კლასებმა საჯარო სკოლებში. ქალაქ თბილისის N64, N166, N41, N72 და ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლების გარემომ უნდა უზრუნველყოს მათი ფორმალური განათლება სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც ეფუძნება განათლების ეროვნული სასწავლო გეგმას და მორგებულია კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. რის შედეგადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის იფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასით მომსახურების სერვისი.

პროფესიული ინკლუზია - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველყოფისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც პასუხობს ყველა პირის ინდივიდუალურ საჭიროებას. სსსმ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის ხელშეწყობა მათთვის საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით ხორციელდება. პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში გამოიკვეთა, რომ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვამდე წინა პროფესიული უნარების განვითარება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ჩართულობას და სასწავლო შედეგებს.ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი სერვისის პილოტირება, რომლის ფარგლებშიც მოხდება VIII–IX კლასის სსსმ მოსწავლეებისთვის წინა პროფესიული უნარების განვითარება.

ნორვეგიელ ლიდერთან შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ნორვეგიასა და საქართველოს შორის ინკლუზიური პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული საქმიანობის შეჯამება.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრო 2006 წლიდან თანამშრომლობს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში. ნორვეგიელი პარტნიორების მხარდაჭერით, საფუძველი ჩაეყარა

ინკლუზიურ განათლებას საჯარო სკოლებში, 2013 წლიდან კი ინკლუზიური განათლება ინერგება პროფესიული განათლების სისტემაში.

2013 წლის შემოდგომიდან დღემდე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 510 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტი. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობს სსსმ პირების უზრუნველყოფა სწავლებისათვის საჭირო დამატებითი სპეციალისტების მომსახურებით და სხვადასხვა მატერიალური რესურსებით. სსსმ სტუდენტების პროფესიული განათლების პროცესში ჩართულია 20 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და სსსმ პირის ასისტენტი, რომელიც სასწავლო პროცესში პედაგოგებს დახმარებას უწევს ინდივიდუალური მიდგომების განხორციელებაში. ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის შინაარსობრივი მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის 5 წევრის მიერ, რომელიც კონკრეტულად ემსახურება ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება სწავლების დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების საკითხებში, რაც უმნიშვნელოვანესია განსხვავებული განათლების მიწოდებისას. დაინერგა ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების და გაძლიერების მექანიზმი. კერძოდ მასწავლებლის სახლის მიერ შეიქმნა სპეციფიკური საგანმანათლებლო კურსები სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა მოსამზადებელად და/ ან გასაძლიერებლად.

ნორვეგიელი დელეგაციის მიერ დადებითად იქნა შეფასებული საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესი, აღინიშნა, რომ საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების უზრუნველყოფის მიმართულებით და მომავალი წლების პრიორიტეტი სწორედ ინკლუზიური განათლების ხარისხის გაზრდა და მეტი რესურსის მობილიზება უნდა გახდეს.

სოციალური ინკლუზია - სოციალური ინკლუზიის დახმარებით მოხდება საჯარო სკოლებში ინკლუზიური სწავლებისთვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა 2015 წლის ქვეპროგრამაში ჩართული იყო 800 სსსმ მოზარდი 3000 მოსწავლესთან და 30 სტუდენტთან ერთად, მიმდინარე სოციალურ და კულტურულ პროცესში აქტიური მონაწილეობით, თვით რეალიზების საშუალება მიეცა რის შედეგადაც სსსმ მოზარდში მოხდა თვითშეფასების ზრდის ხელშეწყობა. სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამა შექმნის პიროვნული შესაძლებლობების თანაბარ პირობებში რეალიზების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებისთვის ადაპტირებულ გარემოს, სადაც „ ყველა ბავშვის'' უფლება თანაბრადაა დაცული და ტერმინი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები'' ვრცელდება სასწავლო პროცესიდან ან სოციალურად დაუცველ, დევნილ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ რეპატრირებულ და სტატუსის არ მქონე მოზარდზე, რომელთა საჭიროებები მათი სწავლის სირთულეებიდან მომდინარეობს. ქვეპროგრამის აქტივ

ობებით, რომელიც სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოზარდებს აერთიანებს საერთო ინტერესების გარემოში ვიღებთ ორმხრივ ბენეფიტს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდების თანატოლებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- საჯარო სკოლების მოზარდებში ტოლერანტული განწყობის ზრდა განსხვავებული შესაძლებლობებისა და რელიგიური თუ კულტურული წარმომავლობის თანატოლების მიმართ.

სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა, სადაც ქვეპროგრამის მონაწილეებმა (საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და სსსმ მოზარდებმა, სტუდენტებმა და სსსმ მოზარდებმა, მათ შორის, ბოშებმა) დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ბოშების ისტორიისა და კულტურის, მათი ყოველდღიურ ცხოვრებისა და პრობლემების შესახებ.

კონფერენციის მიზანი იყო სოციალური ინკლუზიის აუცილებლობასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე მოზარდებისათვის კეთილგანწყობილი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე რამდენიმე წელია, განსაკუთრებული ძალისხმევით ზრუნავს ეთნიკური უმცირესობებისა და მათ შორის, ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვაზე. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებისა და თანატოლებთან სოციალიზაციის მიზნით, შემუშავებულია „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამა", რომელიც ითვალისწინებს სკოლაში, თავისუფალ დროს, ინკლუზიის პრინციპეპზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებას. ეს აქტივობები (კითხვისა და თეატრის კლუბები; სათემო შეხვედრები და აქციები; კონფერენციები) საერთო ინტერესის ფარგლებში იზიდავს ბენეფიციარებსა (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები, მათ შორის, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მესხი, ქისტი, ბოშა მოზარდები) და მოხალისე თანატოლებს.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს საჯარო სკოლის მოხალისეების გადამზადება ბენეფიციარებთან სათანამშრომლოდ; გადამზადებული ბენეფიციარები მოხალისეებთან ერთად ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მონაწილეობენ ახალი ბენეფიციარების მოზიდვასა და მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში.

განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა - სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების მიმართ პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით 2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ინიციატივით დაიწყო პროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის" ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა. პროგრამის მიზანია სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა აღმოჩენილ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველყოფა, სისტემური მიდგომებით ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი, მიუხედავად

მისი სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსისა ჩართული იყოს ხარისხიან ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში.

პროგრამის ფარგლებში გაწეული მუშაობა მიმართულია სკოლის მიღმა დარჩენილი იმ ბავშვების მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად, რომელიც არასდროს ჩარიცხულან სკოლაში, არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია და მათზე მონაცემები არ არსებობს EMIS - ის საინფორმაციო ბაზაში.

არ ხდება ერთიანი სტატისტიკური მონაცემების თავმოყრა და გაზიარება განათლების სისტემისთვის. შესაბამისად რთულია ინფორმაციის მოძიება სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების რაოდენობის. ასაკობრივი ჯგუფების, სოციალური მდგომარეობისა და სხვა სოციალურ-დემოგრაფიული საკითხების თაობაზე. აქედან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია სასწავლო პროცესისა და ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების იდენტიფიცირება და კლასიფიცირება საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით, მათთვის საგანმანათლებლო სერვისების შემუშავებისა და მიწოდების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში გაწეულმა მუშაობამ გამოავლინა მოწყვლადი მიზნობრივი ბავშვთა ჯგუფების საგანმანათლებლო საჭიროებები, მათთვის ფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის, მზაობის და ხარისხის უზრუნველსაყოფად. სკოლის დღევანდელი შესაძლებლობების ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის დამახასიათებელი პროგრამების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, არსებობს ბარიერები მათი ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციისთვის. განსაკუთრებით ისეთი ჯგუფისთვის, როგორიც ე.წ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან (ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილია მიგრანტი მეზობელი სახელმწიფოებიდან). აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შემუშავება, რაც გულისხმობს სამიზნე ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი რეკომენდებული სერვისების მომზადებას, რომელიც დაეხმარება მათ და მისცემს მეორე შანსს ჩაერთნონ განათლების პროცესსა და მის დასრულებაში. პირველ რიგში საჭიროა მოზარდებს ჩამოუყალიბდეთ სწავლის მოტივაცია, ამისთვის დაგეგმილია მუშაობა აკადემიური

უნარების განვითარებისა და სოციალური ადაპტაციის მიმართულებით, ამ ჯგუფის ბავშვთა ინტერესების განვითარებისა და დაკმაყოფილებისთვის, მათი კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის'' ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მხარდამჭერი მომსახურების მოდელი შეიმუშავა. მოდელი ორგანიზაცია „მარიანისთან'' თანამშრომლობით შეიქმნა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის ინკლუზიური უმაღლესი განათლების მიწოდებასთან დაკავშირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კანონმდებლობას, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას ეფუძნება. იგი ასახავს იმ საბაზისო და აუცილებელი სტანდარტების დანერგვის გზებს, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების წარმატებული და ღირსეული ინკლუზია უმაღლეს განათლებაში.

ასევე ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა მიზნად ისახავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაციას და შეფასებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრას;
- სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასებას;
- სსსმ ბავშვთა ეროვნული მოდელის შემუშავებას;
- სსსმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და მისი საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის(ტესტების) პილოტირებას;

- სპეციალური პედაგოგიკის და მასთან დაკავშირებული სპეციალობების საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებისთვის რეკომენდაციების მომზადებას.
- ინკლუზიური განათლების საპილოტე სკოლებში სსსმ ბავშვთა საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის საჭირო აქტივობებისათვის დაფინანსებას: სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების სპეციალისტების დაფინანსებას, რესურს ოთახების აღჭურვას და ორი სკოლის ტრანსპორტითა და მძღოლით უზრუნველყოფას. პარალელურად საქმიანობას ინკლუზიური განათლების პოლიტიკის დახვეწისა და საკანონმდებლო დონეზე შესატანი ცვლილებების მოსამზადებლად. აღნიშნული ამოცანების შესაბამისად, ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროგრამები. თითოეულ ქვეპროგრამას განესაზღვრება კონკრეტული მიზნები.

ასევე განხორციელდა სხვა ქვეპროგრამებიც ესენია: **ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა, სპეციალიზირებული პროფილის სკოლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, თბილისის საპილოტე სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების წახალისების ქვეპროგრამა „ვისწავლოთ ერთად", ათი რეგიონული სამიზნე სკოლის რესურ ოთახების აღჭურვის ქვეპროგრამა.**[15]

ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის მიზანია საექსპერტო დასკვნების სსსმ ბავშვთა განათლების 2009-2011 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ საკითხებზე. იმისთვის, რომ ხარისხიანი განათლება ყველა ბავშვისთვის გახდეს ხელმისაწვდომი, უნდა შემუშავდეს სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი, რომლის დანერგვა და ფუნქციონირება შემდგომში დარეგულირდება ნორმატიული აქტით და დაექვემდებარება

[15] http://www.mes.gov.ge/content.php?id=539&lang=geo - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამები.

მონიტორინგს. სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: სსსმ მოსწავლეთა განათლების პროცესის მართვის სტანდარტულ წესებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის წესებს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებისა და მომდევნო საფეხურზე გადაყვანის წესებს; ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა უნდა დაეფუძნოს სსსმ ბავშვთა განათლების კვლევებს, მტკიცებულებებსა და საუკეთესო გამოცდილებას; ექსპერტთა ჯგუფის მიერ შექმნილი სსსმ ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი წარედგინება საზოგადოებას განსახილველად, მათ შორის სკოლებს, განათლების რესურს-ცენტრებსა და სამინისტროებს; მოხდება ექსპერტების მიერ რეკომენდირებული შეფასების ინსტრუმენტის სხვადასხვა ტესტების ადაპტირება. ასევე ექსპერტა ჯგუფის მიერ განხილული იქნება სპეციალური პედაგოგიკის საერთაშორისო პროფესიული სტანდარტი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, შემუშავდება რეკომენდაციები სპეციალური განათლების საუნივერსიტეტო პროგრამისთვის. რეკომენდაციები წარდგენილი და განხილული იქნება ყველა კომპეტენტურ უწყებაში. მომზადდება რეკომენდაციები ინკლუზიური განათლების სფეროში კვლევითი პროექტების შესახებ.

სპეციალიზირებული პროფილის სკოლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

სახელმწიფო სსსმ ბავშვების ინკლუზიურ სწავლების პრიორიტეტების აღიარების პარალელურად აცნობიერებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას. სპეციალური (არაინკლუზიური) სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აუცილებელია სპეციალიზირებული სკოლების საშუალებით. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპეციალიზირებული სკოლები არის მთავარი რესურსი ინკლუზიური სწავლების განვითარების ხელშეწყობისათვის. სწორედ ისინი ლიდერობენ სწავლების სტრატეგიების, ადაპტირებული კურიკულუმებისა და ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებისადმი ინდივიდუალური მიდგომების ცოდნისა და გამოცდილების კუთხით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს - სპეციალიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს,

სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ- ტექნიკური პერსონალისა და სპეციალურ პედაგოგთა შრომის ანაზღაურებას და მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

თბილისის საპილოტე სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, ნორვეგიის მთავრობის ფინანსური და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის სკოლებისათვის,'' პროექტი მიზნად ისახავდა ინკლუზიური სწავლების დანერგვას დედაქალაქის 10 (N 67, 130, 24, 10, 180, 87, 60, 181, 21, 160) სკოლაში და მიღებული გამოცდილების საფუძველზე ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობით.

2008 წლის დეკემბერში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის თბილისის 10 სკოლისათვის „ დასრულების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აიღო ვალდებულება აღნიშნულ სკოლებში ინკლუზიური განათლების პროცესის გაძლიერებისა. ინკლუზიური სწავლების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტმა თბილისის საპილოტე სკოლებში (N 67, 130, 24, 10, 180, 87, 60, 181, 21, 160) ჩაატარა გამოკითხვა სკოლების საჭიროებების გამოსავლენად, რომლის საუძველზეც 2010 წლისათვის დაიგეგმა ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშემწყობი აქტივობების დაფინანსება: სპეციალური პედაგოგის, ფსიქოლოგის დაფინანსება, სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფა. ორი სკოლისათვის, სადაც უმეტესი ბავშვები არიან ეტლით მოსარგებლე ავტობუსისა და მძღოლის მომსახურების დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია საპილოტე სკოლების ფარგლებში ინკლუზიური განათლების

დანერგვაში წარმატებული სკოლების იდენტიფიცირება და მასწავლებლებისათვის სიგელების და ფულადი საჩუქრების გადაცემა.

საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების წახალისების ქვეპროგრამა „ვისწავლოთ ერთად"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიზნად ისახავს ინკლუზიური განათლება ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოს ყველა სკოლაში. თუმცა აღნიშნული პროცესის წარმართვა ეტაპობრივად არის დაგეგმილი. ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს კი თავად სკოლის როლის გააქტიურება წარმოადგენს სსსმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამინისტრო აცხადებს კონკურსს „ვისწავლოთ ერთად". კონკურსი საჯარო სკოლებს საშუალებას მისცემს თავად წარმოადგინონ პროექტები, თუ როგორ სურთ ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება სკოლაში, სკოლებიდან წარმოდგენილი ინიციატივების შერჩევას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კომისია. კონკურსში გამარჯვებული პროექტები მიიღებენ დაფინანსებას.

ათი რეგიონული სამიზნე სკოლის რესურ ოთახების აღჭურვის ქვეპროგრამა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს პროექტს „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში". პროექტის მიზანია ინკლუზიური განათლების დანერგვა, განვითარება საქართველოს ყველა რეგიონის საჯარო სკოლებში და საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური განათლების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განისაზღვრა საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის აუცილებლობა. პროექტის „ინკლუზიური განათლების განვითარება საქართველოს 9 რეგიონის საჯარო სკოლებში" ფარგლებში ათი სამიზნე სკოლის რესურს ოთახების აღჭურვის ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებას თანატოლებთან ერთად და უზრუნველყოფს მათთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას.

მიღწევები ინკლუზიურ განათლებაში:

- საჯარო სკოლები მიიღებენ დამატებით დაფინანსებას;
- სსსმ მოსწავლეებისთვის ფუნქციონირებს რესურს ოთახები;
- ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად საჯარო სკოლებში 1300მდე სპეციალური მასწავლებელია დასაქმებული;
- ვითარდება ქართული ჟესტური ენა;
- უსინათლო მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ბრაილის სახელმძღვანელოებით, საგანმანათლებლო რესურსებით და შესაბამისი ტექნიკით;
- მასწავლებლებისთვის მეთოდოლოგიური გზამკვლევი შეიქმნა;
- ინკლუზიური განათლება დაინერგა პროფესიული განათლების საფეხურზე;
- ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებს ადაპტირებული ტრანსპორტი ემსახურება.

2.2 სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მინიჭება

2018 წლის 20 ივლისს, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანამდე, სპეციალურ მასწავლებელს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის სტატუსი ჰქონდა. შესაბამისად, მათზე არ ვრცელდებოდა კანონით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები, არ ექცეოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში, არ არსებობდა შრომის ანაზღაურების ზრდის შესაძლებლობა, რაც მათ დემოტივაციას იწვევდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში გათვალისწინებულია ცვლილება სპეციალური მასწავლებლის სტატუსის აღიარებაზე, რაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მოთხოვნაც იყო.

ცვლილებების შემდეგ, სპეციალური მასწავლებლის ხელფასის დაანგარიშება საჯარო სკოლის მასწავლებლის მსგავსად, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით განისაზღვრება (განათლება და კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, სამუშაო დატვირთვა და ა. შ.) და მათი სამუშაო ხელფასი 400-500 ლარის ფარგლებში განისაზღვრება.

მთავრობის დადგენილებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობისთვის ასევე იცვლება სკოლების დაფინანსება. კერძოდ, თუ სსსმ მოსწავლის ხელშეწყობისთვის ყოველთვიურად საჯარო სკოლა დამატებით 350 ლარით ფინანსდებოდა, ცვლილებების შემდეგ დაფინანსება 500 ლარი გახდება.[16]

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, კანონის ამოქმედების შემდეგ სპეციალური მასწავლებლები იმავე პრივილეგიებით ისარგებლებენ, რომლითაც სისტემაში მომუშავე დანარჩენი კატეგორიის პედაგოგები სარგებლობენ. ეს ფაქტორი კი, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით, მათთვის პოზიტიური შედეგების მომტანი იქნება.

სამინისტროს განმარტებით, ცვლილება საჭირო გახდა, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ" საქარათველოს კანონში სპეციალური მასწავლებლის ტერმინი პრაქტიკაში არსებულ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა და სწორედ ამიტომ ის ახლებული რედაქციით ჩამოყალიბდა.

კანონპროექტში დაზუსტდა სპეციალური მასწავლებლის ცნება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან საგნის მასწავლებელთან ერთად ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს/მოსწავლეებს ან/და მუშაობს მასთან/მათთან ინდივიდუალურად/ჯგუფურად, სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა

---

[16] https://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9B&id=8639&lang=geo - ინკლუზიური განათლების პედაგოგთა ხელფასის განსაზღვრა.

და სხვადასხვა უნარების განვითარების მიზნით; რაც იმას ნიშნავს, რომ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ინკლუზიურ განათლებაში დასაქმებული სპეციალური მასწავლებლის დაფინანსების წესი და პროფესიული განვითარების სქემა, რაც მათი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის საშუალება იქნება.

კანონში ასევე დაზუსტდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ა.შ. ტერმინების დაზუსტებასთან ერთად კანონპროექტში დაზუსტება ახალი ტერმინების განმარტებები - ალტერნატიული სასწავლო გეგმა, გაფართოებული სასწავლო გეგმა, ინტეგრირებული კლასი, სპეციალური კლასი და სხვა.

ყველა ეს ცვლილება ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განვითარებას, სწავლის თანაბარ შესაძლებლობას, მრავალფეროვანი სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებასა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდოლოგიის დანერგვას.

ცვლილებების მიხედვით:

- სპეციალური მასწავლებელი გახდა მასწავლებელი;
- სისტემამ აღიარა ალტერნატიული და გაფართოებული სასწავლო გეგმები;
- გაჩნდა ინტეგრირებული და სპეციალური კლასების ტერმინთა განმარტებები;
- სპეციალურ სკოლებს შეეცვალათ სტატუსი და გახდა რესურს სკოლები; რომლის განმარტებაცაა - სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ასევე შესაბამისი პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროების შემთხვევაში სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ენად გამოიყენებაა ქართულ ჟესტური და ბილინგვური სწავლების პრინციპები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები იღებენ განათლებას სავალდებულოდ გამოიყენება ქართული ჟესტური ენა ან/და ბილინგვური სწავლების პრინციპები.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროების შემთხევაში მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლესთან გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც განათლებას იღებენ მხოლოდ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები, სავალდებულოდ გამოიყენება ბრაილის სისტემა ან/ და შესაბამისი დამხმარე ტექნოლოგიები.

კანონში ცვლილებების ჯეროვნად ასამუშავებლად სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას. სადაც განისაზღვრება სწავლა- სწავლების მიზნები, თითოეულ საგანში შესაძენი ცოდნა და საგანმანათლებლო პრინციპები, რომელსაც სწავლა- სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა უნდა დაეფუძნოს, ასევე ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და აუცილებელი დატვირთვა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.[17]

კიდევ ერთი ნაწილი, რომელიც კანონში დაზუსტდა არის ის, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დაფუძნებულ საჯარო სკოლების ინკლუზიური განათლების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

[17] https://edu.aris.ge/news/specialur-maswavlebels-maswavleblis-statusi-mienicha-ra-weria-kanonproeqtshi.html -მაწავლებლის სტატუსის მინიჭება.

მქონე მოსწავლეს უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ადამიანური რესურსებითა და პროგრამებით/სერვისებით.”

”ინკლუზიური სწავლების” ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში მოიცავს რეკომენდაციებს, რაც მიზნად ისახავს ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, საჯარო სკოლების გარემოსა და პედაგოგების მომზადებას სსსმ მოსწავლეეების მისაღებად.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებობს კადრების ნაკლებობა და მათი არასწორი გადანაწილების პრობლემა. აუდიტორების გამოთვლით, 516 საჯარო სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან 1,589 მოსწავლეს არ აქვთ გავლილი სსსმ პირთა განათლების სპეციალიზირებული ტრენინგი. თუმცა გამოიკვეთა საპირისპირო შემთხვევებიც - 43 სკოლაში დასაქმებულია 239 ტრენინგ გავლილი მასწავლებელი, მაგრამ ამ სკოლებში სსსმ მოსწავლეები საერთო არ ირიცხებიან.

აუდიტის ჯგუფმა შეუსაბამობა დააფიქსირა სკოლების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებითაც. კვლევის მიხედვით,2082 საჯარო სკოლიდან სათანადოდ ადაპტირებულია მხოლოდ 17 სკოლა. ასევე ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მიზნების შესაბამისად ადაპტირებული სკოლები, რომელთაც არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები და პირიქით , სსსმ მოსწავლეები სწავლობენ ისეთ სკოლებში, სადაც შესაბამისი ინფრასტუქტურა არ არსებობს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა და დაინერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც სსსმ მოსწავლის ჩარიცხვამდე შეფასდება სკოლის გარემო, პრიორიტეტების მიხედვით მოხდება სკოლების შერჩევა და სკოლის ეტაპობრივი, სრული ადაპტაცია.[18]

2.3 ინკლუზიური განათლების მონიტორინგი სახელმწიფოს მიერ

[18] https://sao.ge/about-us/annual-perfomance-repo - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებები საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურაზე.

2004 წლიდან ასოციაცია „დეა" ახორციელებს პროგრამას „გზა ინკლუზიისკენ", რომლის მიზანია ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა ჩვენს ქვეყანაში. პროგრამის ფარგლებში ასოციაციას უკვე რამდენიმე პროექტი აქვს განხორციელებული. ინკლუზიური განათლების სრულყოფილებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ეფექტური მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, რათა განვსაზღვროთ ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა და განსახორციელებელი ცვლილებები. ამ პროექტის წინაპირობა გახლდათ ისიც, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების განვითარების ევროპული სააგენტოს (EADSNE) მიერ 2011 წელს ინკლუზიური განათლების სფეროში ერთიანი საგანმანათლებლო ევროპული სივრცისთვის შეიქმნა მონიტორინგის ინსტრუმენტები და ამის საფუძველზე გახდა შეექმნათ ჩვენი ქვეყნისთვის ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემისთვის მორგებული მონიტორინგის ინსტუმენტები. ინსტრუმენტები შემუშავდა საქართველოში ინკლუზიური განათლების პოლიტიკის, პრაქტიკის, რესურსებისა თუ საგანმანათლებლო პროცესების, ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებით, სამ რეგიონში (თბილისში, აჭარასა და სამეგრელო- ზემო სვანეთში) საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურზე (სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უნივერსიტეტი) შემუშავებული მონიტორინგის ინსტუმენტების პილოტირების შედეგების გაანალიზებითა და გათვალისწინებით. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ასოცირებულ წევრებთან - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ასევე, პარტნიორ ორგანიზაციებთან - „NNT ჯგუფსა" და „სთეფ- ფორვარდთან" ერთად მუშაობდნენ მონიტორინგის ინსტრუმენტების შექმნაზე. პროექტში აქტიურად იყო ჩართული ექსპერტი მარტინ როუსი - აბერდინის უნივერსიტეტის პროფესორი შოტლანდიიდან, რომელიც ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა მონიტორინგის ინსტუმენტების ევროპული მოდელის შემუშავებაში.[19]

[19] http://www.mes.gov.ge/content.php?id=8031&lang=geo - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგი.

ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 2017 წელს ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების მონიტორინგი განხორციელდა, რომლის მიზანიც იყო სამინისტროს მიერ ინკლუზიური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგების ანალიზი და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. სწორედ გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით მოხდა ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის აქტივობების სამომავლო დაგეგმა.

მონიტორინგმა გამოავლინა:

- სისტემაში ინკლუზიური განათლების არსებობის მნიშვნელობა;
- საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულება;
- განხორციელებული ღონისძიებების, პროექტების, მხარდამჭერი სერვისების მნიშვნელობა.

ასევე გამოვლინდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიის განვითარების აუცილებლობა; ჯერ კიდევ დაბალია საგნის მასწავლებლის კვალიფიკაცია, მოტივაცია და ჩართულობა; საჭიროა დაფინანსების გამართული მოდელის შემუშავება; საჯარო სკოლების ფიზიკური გარემოს გამართვა და მეტი საგანმანათლებლო რესურსი.

2.4 ინკლუზიური განათლების ხელისშემშლელი ფაქტორები

ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლების მოდელის სრულყოფილად დანერგვის ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს. სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების პირთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. საზოგადოების ნაწილი მაინც არასაკმარის ინფორმაციას ფლობს ინკლუზიური განათლების მოდელთან დაკავშირებით. პრობლემას წარმოადგენს ფიზიკურად არაადაპტირებული სკოლების დიდი რაოდენობა და შესაბამისი სასწავლო მასალების არარსებობა. ინკლუზიური განათლების მოდელის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის,

განსაკუთრებით კი აკადემიური პერსონალისა და მშობლების აქტიური ჩართვა სასკოლო პროცესში. ინკლუზიური განათლების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების მხრივ ინფორმირებულობის დაბალი დონე. მშობლები და მასწავლებლები ამ საკითხს ბოლომდე არ იცნობენ, არ ფლობენ სრულფასოვან ინფორმაციას მათი უფლებების და ვალდებულებების შესახებ, რის გამოც ხშირად მოქმედებენ არასწორად და ექმნებათ პრობლემები. მასწავლებლები და ამ სფეროში მომუშავე ადამიანები საჭიროებენ კვალიფიკაციიის ამაღლებას. დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის დამოკიდებულება. ასევე იკვეთება დამოკიდებულების პრობლემა მშობლებსა და სსმ მოსწავლეებს შორის. ხშირად მშობლებს არ სურთ ერთ კლასში მათმა შვილმა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლესთან ერთ კლასში ისწავლოს.

დღესდღეობით საქათველოს სკოლებში ბევრი პრობლემა არსებობს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით. სკოლების უმრავლესობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (შშმ), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული მასალები, პრობლემებია მუშაობის და მართვის დემოკრატიული სტილის დამკვიდრებასთან. რეალურად საქართველოში ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბების მხრივ, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

ინკლუზიურ განათლებაში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ფსიქოლოგების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება. „მშობლების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ფსიქოლოგთან მარტო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები დადიან. ამიტომ ბავშვები პრობლემის არსებობის შემთხვევაშიც კი ცდილობენ თავი აარიდონ ფსიქოლოგთან საუბარს''. ეს ისევ მიანიშნევს ინფორმირებულობის დაბალ დონეზე.

მშობელთა განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სასარგებლო შედეგის მოტანა შეუძლია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დაინტერესება უმაღლესი განათლების საფეხურით. თუმცა მიუხედავად

უნივერსიტეტების სურვილისა და ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად მზაობისა, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველ სსსმ პირთა რაოდენობა ნაკლებია. არსებობს რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც არა საუნივერსიტეტო, არამედ სახელმწიფო დონის პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, მშობელთა ცნობიერების ამაღლების შემთხვევაშიც კი, მათ მისაღები გამოცდებიდანვე ექნებათ გარკვეული ბარიერები. მიუხედავად იმისა, საქართველოში დანერგილი ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გამოთქვამს მზაობას განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აბიტურიენტთა მისაღებად, იგი გამოცდის ჩასაბარებლად ვერ უღებს კარებს ნებისმიერი საჭიროების მქონე მსურველს. გარემოში, რომლის უზრუნველყოფაც მას შეუძლია, ფაქტობრივად მხოლოდ ფიზიკური გარემო იგულისხმება.

სკოლაში სიარულის ხელისშემშლელი ფაქტორები შესაძლებელია იყოს:

- მშობლებს არა აქვთ გაცნობიერებული სკოლის როლი;
- სკოლას არ აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე კვალიფიცირებული კადრები;
- განსხვავებით დღის ცენტრისგან, სკოლებს არ აქვთ ტრანსპორტირების სერვიზი, ან თუ ჰყავს ტრანსპორტი, რიგ შემთხვევაში ვერ წვდება ყველა ბავშვის სრულად გადაადგილებას. შესაბამისად, მშობელს უწევს საკუთარი რესურსის დახარჯვა;

მოუწყობელი ინფრასტრუქტურა

სკოლების უმრავლესობაში არ არის ადაპტირებული გარემო: პანდუსები, ლიფტები, სპეციალური საპირფარეშოები, ოთახში შესასვლელი კარებები და ა.შ. განსაკუთრებით მძივე ვითარებაა რეგიონებში. მაღალმთიან სოფლების სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კონცენტრაცია თბილისთან შედარებით დაბალია. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, თბილისის 297 სკოლიდან 155 სკოლაში არის დანერგილი ინკლუზიური განათლება, მაღალმთიან სოფლების 505 სკოლიდან კი 171 სკოლაში.

2.5 შეზღუდული შესაძლებლობები და ინტეგრაცია საჯარო სამსახურში

საზოგადოებაში იზოლირებულ ადამიანებად რჩებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები ნაკლებად არის დაცული, მათი დამოუკიდებელი არსებობისთვის სხვების დახმარება ესაჭიროებათ, ასევე დამოკიდებულნი არიან ქველმოქმედებაზე. მართალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თეორიულად ისეთივე უფლებები აქვთ როგორც სხვა ადამიანებს, თუმცა პრაქტიკაში ისინი მოკლებულნი არიან ძირითად უფლებებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელს არის მიჯაჭვული ასეთი ადამიანისთვის სამსახურის შოვნა პრობლემაა არა მისი მდგომარეობის, არამედ საცხოვრებელ გარემოში არსებული ბარიერების გამო. ასეთი შეიძლება იყოს ავტობუსი, ან შენობასთან მიმავალი კიბე, რომელზეც სავარძელი ვერ ადის. შშმ პირები ჯერ კიდევ განიხილებიან სოციალური დაცვის სისტემის ან სამედიცინო დახმარების ობიექტებად და არა რიგ უფლებათა მფლობელად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შრომის უფლების რეალიზება პირდაპირ კავშირშია სხვა ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობასთან. მათ შორის, ამ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფასთან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს 2006 წლის კონვენციაშია (CRPD) მოცემული.[20] დოკუმენთის თანახმად, ხელმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან და გააძლიერონ სერვისები, რომელთა მიერ შეთავაზებული მომსახურების მიწოდება იქნება როგორც მიზანი, ისე საშუალება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ამ პირთა პროფესიული განათლებისა და შრომის უფლების რეალიზების ხელშეწყობა.

[20] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289 საქართველოში ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.

საჯარო სამსახურის ბიუროს 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საჯარო სექტორში დასაქმებული 46 708 ადამიანიდან მხოლოდ 55-ია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კერძო სექტორშიც ძალიან ცოტაა დასაქმებული შშმ პირი. [21] მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საჯარო სამსახურში დასაქმება იწვევს სოციალური პაკეტით სარგებლობის შეზღუდვას, გარდა მკვეთრად გამოხატულ და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ადამიანებს. [22] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულებს ერთნაირად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, სოციალური პაკეტის მიღების თვალსაზრისით ეპყრობიან არათანაბრად, ამ განსხვავებისთვის კი ლეგიტიმური მიზანი არ არსებობს, აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას. თუმცა რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული.[23]

აგრეთვე პრობლემატურია შშმ პირთა ზეგანაკვეთური საქმიანობის განსაზღვრა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის დებულებები ზოგადად ეხება სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით უთანასწორო მოპყრობის აკრძალვას, ხოლო შშმ პირთა სამუშაო და დასვენების საათების, ზეგანაკვეთური სამუშაოს და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურების პირობების განსაზღვრას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონს მიანდობს. მხოლოდ იმას ადგენს, რომ შეზღუდული

[21] http://csb.gov.ge/ge/publications საჯარო სამსახურის ბიუროს 2017 წლის ანგარიში. გვ23
[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1707671 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის" შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, მუხლი 6, პუნქტი 4

[23] http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-saqartvelos-mtavrobas-kerdzo-da-sadjaro-seqtorshi-dasaqmebul-shshm-pirebs-shoris-diskriminaciis-agmofxvrisaken-mouwoda.page

შესაძლებლობის მქონე პირს ეძლევა შესაბამისი თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგო ნამუშევარი საათების პროპორციულად. [24]

ტექნოლოგიური განვითარება იძლევა შესაძლებლობას მოხდეს გარკვეული სახის სამუშაოების შესრულება სახლიდან გაუსვლელად, ეს ფაქტი გარკვეულწილად ეხმარებათ შშმ პირებს, გამომდინარე იქიდან, რომ გარემო არის არახელსაყრელი და მათი გადაადგილება ხშირად მეტ ხარჯთან ასოცირდება, ვიდრე მათი თანამდებობრივი სარგებელი შეიძლება იყოს, ეს კი ერთგვარი დემოტივატორია სამსახურის ძიების პროცესში. ტექნიკური რეფორმისა და ელექტრონული საქმის წარმოების, დანერვის შემდგომ საჯარო რეესტრის სააგენტომ სახელმწიფო უწყებებს შორის, პირველმა წამოიწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების პროექტი და საკუთარ სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები დაასაქმა.[25]

საჯარო სამსახურში მერიტოკრატიული პრინციპების დანერგვა გულისხმობს ღია კონკურსებით დისკრიმინაციის გარეშე ადამიანების დასაქმებას, თუმცა შშმ პირთათვის სამუშაოს დაწყება, განსაკუთრებით ღია კონკურსში მონაწილეობის გზით, თითქმის დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს. არაადაპტირებული ტრანსპორტი და სამუშაო სივრცე მნიშვნელოვანი ბარიერია სამსახურში მისვლის, სამუშაოს შესრულებისა და კოლექტივთან სოციალიზაციის პროცესში. დასაქმების შედეგად მიღებული ეკონომიკური სარგებელი შშმ პირების შემთხვევაში ძალიან დაბალია, რაც სხვა დამატებითი ბარიერების გათვალისწინებით, მის საქმიანობას არარენტაბელურს ხდის. გარდა ამისა, მუშაობის დაწყების შემთხვევაში, მათ ოჯახს შეიძლება შუწყდეს სახელმწიფოს შემწეობა, ხოლო პირადად მათ სოციალური პაკეტი, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში. 30 ქვეყნის შიდა კანონმდებლობით და სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული დებულებები საკმაოდ ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისაა, რაც თავის მხრივ აფერხებს მათ ეფექტურ იმპლემენტაციასა და მონიტორინგს. ამასთან, სახელმწიფოს პროგრამებით

[24] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098 საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი30, პუნქტი 3;

[25] https://napr.gov.ge/p/171 შესაძლებლობები შეუზღუდავია - შშმ პირების დასაქმების პროგრამა

გათვალისწინებული ღონისძიებები რიგ შემთხვევებში იდენტურია და არ არის გამყარებული საჭიროებათა კვლევის შედეგად.

დასკვნა

- ინკლუზიური განათლების დანერგვის დინამიკა (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით) ზოგადი და პროფესიული განათლების დონეზე მზარდია.
- ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტის ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად მწირია და იგი არ ქმნის ბავშვისა და სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სტუქტურიზებულ და მოქნილ სისტემას.
- ქვეყანაში არ გვაქვს დადასტურებული მონაცემები/შეფასება ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მიღწეული შედეგების/პროგრესის და სახელმწიფო ინტერვენციების გავლენის შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მიმართებაში.
- ინკლუზიური განათლების განხორციელებისკენ მიმართული ძალისხმევა და თანმიმდევრულობა დიდწილად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვედა რგოლის დამსახურებაა, ასევე სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების.
- ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა და მოსწავლეების ერთიანი მონაცემთა წარმოების სისტემა.
- განათლების სამინისტრო ინფორმაციას ფლობს მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სკოლაში ირიცხებიან. ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები, თუ რამდენი ბავშვია ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი.
- ასევე პრობლემაა არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების სტრატეგიების არცოდნა, არამედ ის ფაქტიც, რომ ზოგადად მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე ქვეყანაში ძალიან დაბალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადრეული ინკლუზიური განათლება (ნაწილი პირველი) პრაქტიკოსებისათვის.

2. ბაგრატიონი მ. გაგოშიძე თ. ჭინჭარაული თ. ფილაური ქ. - ინკლუზიური განათლების პრინციპები. თბ., 2008.

3. გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ", მუხლი 7, პუნქტი 2.

4. გოგილავა მ. - ინკლუზიური განათლების პრინციპები. ქუთაისი 2018

5. გიგიბერია ი. - ინკლუზიური განათლება, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. თბ., 2016.

6. დგებუაძე ე. - ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგი. თბ., 2018.

7. ზაქარეიშვილი მ. ბარაბაძე ლ. მიდელაური ვ. - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება. (გზამკვლევი) თბ., 2015.

8. იაშვილი ნ. - ინკლუზიური განათლება, შანსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრაციისთვის. თბ., 2013.

9. ინკლუზიური პროფესიული და უმაღლესი განათლება. (15 წლიდან).

10. კალენდარიშვილი მ. - ინკლუზიური განათლება და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები. თბ., 2016.

11. კვაჭაძე ჟ. - ინკლუზიური განათლება და სპეციალური მასწავლებელი. თბ., 2011.

12. მიქელაძე მ. - ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. თბ., 2009.

13. პაჭკორია თ. ჭინჭარაული თ. ლაღიძე ა. ბაგრატიონი მ. - ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისთვის 2011 – 2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. თბ., 2011.

14. პაჭკორია თ. მაზმიშვილი ს. კბილცეცხლაშვილი თ. იაშვილი ქ. ჭელიძე მ. - ინკლუზიური განათლება - მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.

15. რუხაძე ნ. - ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი. თბ., 2016

16. სალამანკას დეკლარაცია მუხლი 37.

17. ხვედელიძე დ. - ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგი. თბ., 2018

18. https://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9B&id=8115&lang=geo - სსსმ მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების დაბეჭდა. (ბოლოს გადამოწმებულია 15.03.2019).

19. http://inclusion.ge/geo/static/7 - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის განხორციელების ქვეპროგრამები. (ბოლოს გადამოწმებულია 22.03.2019)

20. http://www.mes.gov.ge/content.php?id=539&lang=geo - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/1707671 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, მუხლი 6, პუნქტი 4ის პროგრამები. (ბოლოს გადამოწმებულია 30.03.2019).

21. https://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%9B&id=8639&lang=geo - ინკლუზიური განათლების პედაგოგთა ხელფასის განსაზღვრა. (ბოლოს გადამოწმებულია 5.04.2019)

22. https://edu.aris.ge/news/specialur-maswavlebels-maswavleblis-statusi-mienicha-ra-weria-kanonproeqtshi.html -მაწავლებლის სტატუსის მინიჭება. (ბოლოს გადამოწმებულია 15.04.2019)

23. https://sao.ge/about-us/annual-perfomance-repo - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებები საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურაზე. (ბოლოს გადამოწმებულია 20.04.2019)

24. http://www.mes.gov.ge/content.php?id=8031&lang=geo - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგი. (ბოლოს გადამოწმებულია 27.04.2019)

25. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289 საქართველოში ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან. (ბოლოს გადამოწმებულია 5.05.2019).

26. http://csb.gov.ge/ge/publications საჯარო სამსახურის ბიუროს 2017 წლის ანგარიში. გვ23 (ბოლოს გადამოწმებულია 10.05.2019).

27. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1707671 „სოციალური პაკეტის განსაზღვრის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, მუხლი 6, პუნქტი 4 (ბოლოს გადამოწმებულია 17.05.2019).

28. http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-saqartvelos-mtavrobas-kerdzo-da-sadjaro-seqtorshi-dasaqmebul-shshm-pirebs-shoris-diskriminaciis-agmofxvrisaken-mouwoda.page (ბოლოს გადამოწმებულია 25.05.2019).

29. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098 საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი30, პუნქტი 3; (ბოლოს გადამოწმებულია 1.06. 2019).

30. https://napr.gov.ge/p/171 შესაძლებლობები შეუზღუდავია - შშმ პირების დასაქმების პროგრამა (ბოლოს გადამოწმებულია 10.06.2019).

დანართი

(კვლევა არის ანონიმური, რომლის მიზანიცაა გამოვავლინოთ სკოლებში და უნივერსიტეტებში არსებული ხარვეზები, ინკლუზიური განაათლების მიმართულებით.)

1.რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა თქვენს სკოლაში/ სასწავლებელში?

2.გყავთ თუ არა სპეციალური მასწავლებელი?

3. ვინ ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და რა კრიტერიუმებს მოიცავს?

4.რამდენად სრულყოფილია ინდივიდუალური გეგმა და როგორი შედეგი აქვს სსსმ ბავშვებთან განხორციელებისას?

5.ძირითადად რა სახის პრობლემებს აწყდებით სსსმ ბავშვებთან მუაობის პროცესში?

6. რამდენად ადაპტირებულია სასკოლო გარემო?

7. როგორ ხორციელდება მონიტორინგი სახელმწიფოს მხიდან?